ხელშეკრულება №

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 07 მაისი 2019 წელი.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის №86 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ქაჯაიას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ტექნოჰაუს" (შემდგომში - მიმწოდებელი) დირექტორის მეჰმედ მელექის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია; კონდენციონერის დემონტაჟი, მონტაჟი (CPV45111300,45331221) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 180,00 (ასოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლება მოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 3 (სამი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის N57).

4.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 07 მაისიდან 2019 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

12მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე

ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი

არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ ქალაქ თბილისის № 86	
საჯარო სკოლა	შპს „ტექნოჰაუს“
მის.: ბეღლეთის ქ. N12	მის: სოფელი დიღომი,ფარსადანის N5
ტელ.: 2747912	საიდ/კოდი: 205277608
საბანკო რეკვიზიტები:	ტელ: 595959515
ს/ს „ლიბერთი ბანკი”	ს/ს „თი ბი სი ბანკი”
ს/კ 206031685	ა/ა: GE31TB1949936020100006
ბანკის კოდი: LBRTGE22	
ა/ა GE24LB0121112102365001	
სკოლის დირექტორი:	**დირექტორი : მეჰმედ მელექი**
ნანა ქაჯაია	
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

LLC Techno house Digitally signed by LLC Techno house
Date: 2019.05.10 14:33:16 +04'00'

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია: კონდენციონერის დემონტაჟი, მონტაჟი.

საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ.ფასი	საქონლის ფასი	CPV კოდი
კონდენციონერის დემომტაჟი	ცალი	1	60,00	60,00	
კონდენციონერის მონტაჟი	ცალი	1	120	120,00	
				180,00	

სსიპ - ქალაქ თბილისის №86 საჯარო
სკოლის დირექტორი /ნანა ქაჯაია/

დირექტორი: /მეჰმედ მელექი/

LLC Techno house

Digitally signed by LLC Techno house
Date: 2019.05.10 14:33:46 +04'00'

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი 07 მაისი 2019 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს ,,ტექნოჰაუსი" (შემდგომში - შემსრულებელი), წარმომადგენელი მისი დირექტორის მეჰმედ მელექის სახით, ხოლო მეორეს მხრივ სსიპ - ქ.თბილისის №86 საჯარო სკოლა (შემდგომში - დამკვეთი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ქაჯაიას სახით, ვადასტურებთ, რომ შემსრულებელმა დამკვეთს გაუწია, ხოლო დამკვეთმა მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება (კონდენციონერის დემონტაჟი, მონტაჟი.) რომლის ღირებულებაც შეადგენს 180,00 (ასოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

შემსყიდველი

სსიპ ქალაქ თბილისის № 86
საჯარო სკოლა
მის.: ბეღლეთის ქ. N12
ტელ.: 2747912
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,ლიბერთი ბანკი"
ს/კ 206031685
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE24LB0121112102365001

სკოლის დირექტორი:
ნანა ქაჯაია

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი

შპს ,,ტექნოჰაუს"
მის: სოფელი დიღომი,ფარსადანის N5
საიდ/კოდი: 205277608
ტელ: 595959515
ს/ს ,,თი ბი სი ბანკი"
ა/ა: GE31TB1949936020100006

დირექტორი : **მეჰმედ მელექი**

(ხელმოწერა)

LLC Techno house

Digitally signed by LLC Techno house
Date: 2019.05.10 14:34:24 +04'00'